# ხელშეკრულება №ბ-062
## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
## (გამარტივებული შესყიდვა)

12 ივლისი 2012წ.

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი" (მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №24), წარმოდგენილი დირექტორის ნინო ბერუაშვილის სახით, შემდგომში წოდებული როგორც „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, სს "კახეთის ენერგოდისტრიბუცია" (მისამართი: ქ. თელავი, ალაზნის გამზირი №93) წარმოდგენილი გაყიდვების მმართველის, აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლის დავით ენუქიძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვთანხმდებით, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტისა და და 2011 წლის 20 ივლისის საქართველოს მთავრობის №1465 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

13. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების საგანი;

### 2. ხელშეკრულების საგანი

ყვარლის მუნიციპალიტეტში იუსტიციის სასწავლო ცენტრის შენობის შიდა ქსელის ელექტრომომარაგების სამონტაჟო სამუშაოები, კერძოდ: სატრანსფორმატორო ჯიხურიდან ჭაბურღილების მიმართულებით 0,4 კვ-იანი ეგხ-ს მშენებლობა. (CPV-45311100).

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 12 823 (თორმეტი ათას რვაას ოცდასამი) ლარს. (დანართი №-1-ის შესაბამისად), რაც გაკორექტირდება ამავე ხელშეკრულების 7.1 მუხლით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესრულებული სამუშაოს ღირებულებას, ისე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

### 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების გაწევა არაუგვიანეს 2012 წლის 10 აგვისტოსა;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისას;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი;

ბ) უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და ვადების შესაბამისად;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

დ) დროულად მიაწოდოს მიმწოდებელს ინფორმაცია და ასევე სხვა საჭირო დოკუმენტები, რაც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად.

### 5. განხორციელებული სამუშაოების ხარისხი

5.1. შესრულებული სამუშაოს ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

### 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის სამუშაოების ხარისხის პერიოდული კონტროლი.

6.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის თანამშრომლები.

6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით შესრულებული სამუშაო, მხარეები ერთობლივად შეადგენენ შესაბამის აქტს, სადაც განსაზღვრავენ ხარვეზის გამოსწორების

...რულ ვადას. თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს წუნის გამოსწორებას შეთანხმებულ ვადებში და შემსყიდველს გადახდილი აქვს ამ წუნდებული სამუშაოს ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მოახდინოს წუნდებული სამუშაოს ღირებულების დაბრუნება.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. ამ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

## 7. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესრულებული სამუშაოს მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფორმა №2-ისა და ექსპერტის დასკვნის საფუძველზე.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს სამუშაოები მიმწოდებლის მიერ მათი წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში ან წარუდგინოს საფუძვლიანი პრეტენზია მიმწოდებელს.

## 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

8.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული სამუშაოს ღირებულება სათანადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) საბანკო დღის განმავლობაში.

8.4. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 8.3 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 (ათი) დღით ადრე.

11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 13. დავების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი – შემსყიდველს.

## 17. მხარეთა რეკვიზიტები:

**შემსყიდველი :**

სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი",
წარმოდგენილი დირექტორის ნინო ბერუაშვილის სახით,
მისამართი: ქ.თბილისი, გორგასლის 24,
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა,
ანგ. N200122900, კოდი TRESGE22
ს/კ – 204423230

**მიმწოდებელი:**

სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია",
წარმოდგენილი გაკოტრების
მმართველის, აღსრულების ეროვნული ბიუროს
წარმომადგენლის დავით ქზუგბაიას სახით,
მისამართი: ქ. თელავი, ალაზნის გამზირი №93,
საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: **BAGAGE22**,
ა/ა № **GE66BG0000000330883500**
ს/კ - 203866824

დანართი #1

| № | დასახელება | ტიპი | განზომილების ერთეული | რაოდენობა | სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ლარი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ერთეულის | სულ |
| 1 | 3 | | 4 | 5 | 7 | 8 |
| სოფელი მარჯვენა ძალოვანი ელექტრო ქსელი | | | | | | |
| ძალოვანი კაბელის ჩადება | | | | | | |
| 1 | ძალოვანი კაბელისთვის თხრილის გათხრა მეორე კატეგორიის გრუნტში ხე-დან გ/ფ-ძეც (ხელით) | | მ3/მ | 7083/2000 | 10 | 2000 |
| 2 | ძალოვანი კაბელი | ABBG25 | გრძ/მ | 200 | 2.64 | 528 |
| 3 | საკაბელო არხის ხელით დაბრუნება | | მ3/მ | 84/200 | 2 | 400 |
| 4 | კაბელის ჩადება АВВГ-1 4x25 | | მ | 200 | 1.5 | 300 |
| 5 | გარემოს წილი 100მმ შლაკბეტონი | | მ | 200 | 4.24 | 848 |
| 6 | კაბელის გარემოს მიწით გადარჩევა | | მ | 200 | 0.75 | 150 |
| 7 | სასიგნალო ლენტის მოწყობა (2 ხაზი) | | მ | 200 | 0.5 | 100 |
| 8 | სასიგნალო ლენტი | | მ | 200 | 0.031 | 6.2 |
| 9 | კაბელის დაბოლოებების მოწყობა მუხსაცების მონტაჟი (DTL-25) | | ც | 4 | 1.2 | 4.8 |
| 10 | ალუმინის მუხსაცი (DTL-25) | | ც | 4 | 4.24 | 16.95 |
| 11 | თხრილის გათხრა მეორე კატეგორიის გრუნტში 0.4კვ-ის საყრდენებისათვის ფეხის მოწყობა | | ც | 7 | 30 | 210 |
| 12 | რკინის ძელი საყრდენებისათვის და გარემოსათვის | | გრძ/მ | 137.5 | 19 | 2612.5 |
| 13 | რკინის საყრდენის დამონტაჟება | | ც | 7 | 10 | 70 |
| 14 | იზოლირებული სადენის დამონტაჟება | | გრძ/მ | 400 | 0.8 | 320 |
| 15 | სადენი | СИП-25 | გრძ/მ | 400 | 2.65 | 1060 |
| 16 | ანკერული დამჭერი | | ც | 10 | 3.39 | 33.9 |
| 17 | სამონტაჟო ქანჩი და ქანჩი | | კგ | 0.5 | 7.62 | 3.81 |
| 18 | საიზოლაციო ლენტი 4 ფერის | | ც | 4 | 0.85 | 3.4 |
| 19 | 0.4კვ-ნი ავტომატური ამომრთველის მონტაჟი | 25A | ც | 1 | 12 | 12 |
| 20 | 0.4კვ-ნი ავტომატური ამომრთველი | 3*25A | ც | 1 | 5.92 | 5.92 |
| 21 | დამიწების მოწყობა | | | | | |
| 22 | თხრილის გათხრა მეორე კატეგორიის გრუნტში ხელით | | მ3 | 6.72 | 10 | 67.2 |
| 23 | დამიწების ელექტროდების დამონტაჟება | | ც | 12 | 1.8 | 21.6 |
| 24 | ჰორიზონტალური დამამიწებლის მოწყობა | | გრძ/მ | 16 | 2.2 | 35.2 |
| 25 | დამიწების კუთხოვანა რკინა | 25m | მ | 18 | 3.56 | 64.08 |
| 26 | ზოლოვანა | 6.600 | გრძ/მ | 20 | 0.39 | 7.8 |
| 27 | ელექტროდი | 4mm | ც | 20 | 0.02 | 0.32 |
| 28 | ზედნადები ხარჯები | | | | | 569.33 |
| 29 | მასალების ღირებულების ჯამი | | | | | 5190.88 |
| 30 | სხვადასხვა დანახარჯები | | | | | 3520.80 |
| 31 | ჯამი | | | | | 8711.68 |
| 32 | გაუთვალისწინებელი ხარჯები % | | % | 3 | | 261.35 |
| 33 | სულ | | | | | 8711.68 |
| 34 | საერთოსამშენებლო ხარჯები | | % | 5 | | 435.58 |
| 35 | ჯამი | | | | | 9147.26 |
| 36 | ზედნადები ხარჯები(%) | | % | 10 | | 914.73 |
| 37 | ჯამი | | | | | 10061.99 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 38 | გეგმიური დაგროვება(%) | % | 8 | | 804.95 |
| 39 | ჯამი | | | | 10866.95 |
| 40 | დამატებითი ღირებულების გადასახადი | % | 18 | | 1956.05 |
| 41 | სულ ღირებულება | | | | 12823.00 |

სს "კახეთის ენერგოდისტრიბუცია" გაყიდვების
მმართველის, აღრიცხვების [illegible] ბიუროს
წარმომადგენელი დავით [illegible]